სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

22677195911819

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190699622

რეგისტრაციის თარიღი

18.06.2019 წ

ნოტარიუსი: ალექსანდრე მამისაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი თემქა მე-10 კვარტალი, კორპუსი 36ა, ბინა N47
ტელეფონი: 2-60-69-13

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას ცხრამეტი წლის თვრამეტ ივნისს მე ნოტარიუს ალექსანდრე მამისაშვილს, ჩემს სანოტრო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, თემქა მე-10 კვარტალი, კორპუსი 36ა, ბინა 47, მომმართა **ელგუჯა სოზაშვილმა, როგორც შპს "ჯი-ეს-ემ ტრანსი"-ს (ს/კ 204521017) დირექტორმა** რომელმაც განაცხადა, რომ **ალექსანდრე ქაშიაშვილისათვის** სურდა მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ელგუჯა სოზაშვილმა, როგორც შპს "ჯი-ეს-ემ ტრანსი"-ს (ს/კ 204521017) დირექტორმა /დაბ. 14.02.1964წ. თბილისში, რეგისტრირებული: თბილისი, ხვანჭკარას ქ. №3, პირადი №01029008999./** მომმართა.

მე შევამოწმე **ელგუჯა სოზაშვილის** ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, შევადგინე წინამდებარე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე **ელგუჯა სოზაშვილს**, მან განაცხადა, რომ მინდობილობის შინაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თვრამეტი წლის თვრამეტ ივნისს **ელგუჯა სოზაშვილმა, როგორც შპს "ჯი-ეს-ემ ტრანსი"-ს (ს/კ 204521017) დირექტორმა,** რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც **"მიმნდობი" - ალექსანდრე ქაშიაშვილს /დაბ.25.08.1959წ. მცხეთაში, რეგისტრირებული: მცხეთა ს. მისაქციელი 1-ლი ქ. №125, პირადი №31001035162./,** რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც **"მინდობილი პირი"**, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

ალექსანდრე ქაშიაშვილი უფლებამოსილია იყოს ჩემი- **ელგუჯა სოზაშვილის, როგორც შპს "ჯი-ეს-ემ ტრანსი"-ს (ს/კ 204521017) დირექტორის** წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია დაწესებულებაში მათ შორის: იუსტიციის სახლის ნებისმიერ სამსახურში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ნებისმიერ არქივში, მერიის და საკრებულოს ყველა სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, მერიის ზედამხედველობის სამსახურში, გამგეობაში, ნებისმიერ სანოტარო ბიუროში, რათა აწარმოოს ნებისმიერი საქმე და ნებისმიერი დოკუმენტაცია **შპს "ჯი-ეს-ემ ტრანსი"-ს (ს/კ 204521017)** საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე მშენებლობასთან დაკავშირებით, შეათანხმოს და მიიღოს პროექტი ქ. თვილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, ასევე რეგისტრირებულ მონაცემებში შეიტანოს ცვლილებები, საბუთებში ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოითხოვოს დოკუმენტი, შეასწოროს და ისევ ჩააბაროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში მიიღოს ამონაწერი, რისთვისაც შეკრიბოს და წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია, ცნობები, შეტანოს ჩემი **ელგუჯა სოზაშვილის, როგორც შპს "ჯი-ეს-ემ ტრანსი"-ს (ს/კ 204521017) დირექტორის** სახელით განცხადებები, გადაიხადოს შესაბამისი გადასახადები, აწარმოოს მოლაპარაკებები ნებისმიერ ფიზიკურ და/ან იურიდიულ პირებთან, ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით და ძალაშია ორიათას ოცდაორი წლის თვრამეტ ივნისამდე.

მინდობილობა შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეს.

გადახდილია 12 (თორმეტი) ლარი, აქედან სანოტარო საზღაური 10 (ათი) ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლისა და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლისა.

მიმნდობი: ელგუჯა სოზაშვილი

ნოტარიუსი: ალექსანდრე მამისაშვილი